სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

25 დეკემბერი, 2025 წელი

ბრძანება № 01-02/237

ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2025 წლის 23 დეკემბრის №1822016 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს ,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი" წინამდებარე ბრძანების №1 **დანართის** შესაბამისად.
2. წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული წესი განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ბსუ-ს იურიდიული ცნობარის ველში ,,საუნივერსიტეტო ნორმატიულ აქტები", ველში-,,რექტორის აქტები", ასევე პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ველში - ,,მარეგულირებელი დოკუმენტები").
3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს ინოვაციებისა და სტრატეგიული განვითარების მიმართულებით (მ. ხალვაში), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი ტიტე არუშიძე

,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის საკვალიფიკაციო გამოცდის
ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“

ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 25 დეკემბრის № 01-02/237 ბრძანების

№1 დანართი

ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის
საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „ბსუ“ ან „უნივერსიტეტი“) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების რეგულაციას.
2. წინამდებარე წესი შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების“ და ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის №01-02/11 ბრძანებით დამტკიცებული „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ საფუძველზე.

მუხლი 2. საკვალიფიკაციო გამოცდის მიზანი

1. საკვალიფიკაციო გამოცდის მიზანია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების პროცესში კომპლექსურად გამოყენების უნარის შეფასება.
2. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების სავალდებულოობა ვრცელდება დუალური სწავლების ფორმით განხორციელებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებზე, ასევე იმ პროგრამებზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებზე, რომლებიც ეფუძნება ისეთ პროფესიულ საგანმანთლებლო სტანდარტს, რომელშიც საკვალიფიკაციო გამოცდა განსაზღვრულია კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობად.
3. საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ათვისება და შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა.
4. დუალური და კოოპერაციული პროგრამების შემთხვევაში საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების დამატებითი წინაპირობაა პროფესიულ სტუდენტს გააჩნდეს დადგენილი წესის შესაბამისად შევსებული და ინსტრუქტორ(ებ)ის მიერ დამოწმებული პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალი.

მუხლი 3. საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზება

1. საკვალიფიკაციო გამოცდის დაგეგმვასა და განხორციელებას უზრუნველყოფს გსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი (შემდეგში - ცენტრი) შესაბამის პრაქტიკის ობიექტთან/სასწავლო საწარმოსთან/კლინიკასთან ერთად (პროგრამის განხორციელების ფორმის გათვალისწინებით).
2. საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზებისა და ადმინისტრირების მიზნით, ცენტრის დირექტორის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, გსუ-ს რექტორის ბრძანებით, იქმნება საკვალიფიკაციო გამოცდის ადმინისტრირების ჯგუფი (შემდეგში - ადმინისტრირების ჯგუფი), საკვალიფიკაციო გამოცდამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე.
3. საკვალიფიკაციო გამოცდის ადმინისტრირების ჯგუფის შემადგენლობაში შედის შესაბამისი პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი და პარტნიორი ორგანიზაციის/დამსაქმებლის წარმომადგენელი (დუალური პროგრამის შემთხვევაში).
4. საკვალიფიკაციო გამოცდის თარიღი და ფორმატი განისაზღვრება პროფესიულ სტუდენტთა კონკრეტული ჯგუფისათვის, გსუ-ს რექტორის ბრძანებით. საკვალიფიკაციო გამოცდის ადმინისტრირების ჯგუფი უზრუნველყოფს საკვალიფიკაციო გამოცდის თარიღისა და ფორმატის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას პროფესიული სტუდენტებისათვის, ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 2 დღისა. ჩასატარებელი საკვალიფიკაციო გამოცდის შესახებ ინფორმაცია განთავსდება ცენტრის საინფორმაციო დაფაზე.
5. საკვალიფიკაციო გამოცდის ადმინისტრირების ჯგუფი პასუხისმგებელია საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაზე, ასევე უზრუნველყოფს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებისთვის შესაფერის გარემოს. საკვალიფიკაციო გამოცდის ადმინისტრირების ჯგუფის აღნიშნული ვალდებულება უნდა შესრულდეს პარტნიორ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, საკვალიფიკაციო გამოცდის პარტნიორ ორგანიზაციაში ჩატარების შემთხვევაში.
6. საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების თაობაზე ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტს მიეწოდება ცენტრის მიერ შეფასების ჩატარების დღიდან მაქსიმუმ 3 სამუშაო დღის ვადაში. შედეგების გაცნობის დროს დაცული უნდა იყოს პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობა. დაუშვებელია კონკრეტული სტუდენტის შეფასება გასაჯაროვდეს, სტუდენტის თანხმობის (სიტყვიერი ან წერილობითი) გარეშე (ასეთ შემთხვევაში ჯგუფში შედეგები უნდა იქნას განხილული განზოგადებულად, ხოლო კონკრეტული სტუდენტის შედეგები - ინდივიდუალურად).

მუხლი 4. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისია

1. პროფესიული სტუდენტისათვის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებისა და შეფასების მიზნით, ცენტრის დირექტორის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გსუ-ს რექტორის ბრძანებით იქმნება **საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისია**

(შემდგომში - საგამოცდო კომისია), რომელიც საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების საფუძველზე გასცემს რეკომენდაციას პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების/არ მინიჭების თაობაზე.
2. შეფასების კომისია შედგება არანაკლებ 3 წევრისაგან. კომისიის წევრები შესაძლებელია იყვნენ: ბსუ-ს პარტნიორი ორგანიზაციების და დარგობრივი ასოციაციების ან/და დარგის ექსპერტების ან/და სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების წარმომადგენლები. დუალური პროგრამების შემთხვევაში სავალდებულოა პარტნიორი სასწავლო საწარმოს/საწარმოების მონაწილეობა. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შემადგენლობის უმრავლესობას უნდა ქმნიდეს პარტნიორი ორგანიზაციების დარგობრივი ასოციაციების სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები ან/და დარგის განათლების ექსპერტები. კომისიის შემადგენლობაში დასაშვებია საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში ჩართული პირების (საკვალიფიკაციო გამოცდის ადმინისტრირების ჯგუფის წევრთა) მონაწილეობა.
3. საგამოცდო კომისიის წევრი ვალდებულია წინასწარ გაეცნოს საკვალიფიკაციო გამოცდის ადმინისტრირების ჯგუფის მიერ შექმნილ შეფასების ინსტრუმენტს, მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრირების ჯგუფის მიერ ორგანიზებულ საკვალიფიკაციო გამოცდის პროცედურებთან დაკავშირებით საკონსულტაციო შეხვედრაში, მონაწილეობა მიიღოს პროფესიული სტუდენტის შეფასებაში და გასცეს განმსაზღვრელი შეფასება (საგამოცდო კომისია განმსაზღვრელი შეფასებისას ეყრდნობა არსებულ შეფასების ინსტრუმენტს და შეფასების კრიტერიუმებს, რომელსაც გავლილი აქვს ვალიდაცია. სასურველია საგამოცდო კომისიის წევრი თავად იყოს ვალიდატორი, თუ მას მონაწილეობა არ მიუღია ინსტრუმენტის შემუშავებაში).

მუხლი 5. საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება და მათი ვალიდაცია

1. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების ინსტრუმენტია საკვალიფიკაციო საგამოცდო დავალება, რომელსაც საბოლოო შეფასების მიზნებისთვის ასრულებს პროფესიული სტუდენტი.
2. საკვალიფიკაციო გამოცდის ფარგლებში გამოიყენება დიფერენცირებული შეფასების სისტემა.
3. საკვალიფიკაციო საგამოცდო დავალება შესაძლოა შედგებოდეს ორი განცალკევებული - თეორიული (თეორიული დავალება) და პრაქტიკული ნაწილისაგან (პრაქტიკული დავალება) ან შედგეს ერთიანი კომპლექსური დავალების სახით, სადაც იქნება ინტეგრირებული თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. დავალების პირობა/პირობები იმგვარად უნდა ჩამოყალიბდეს, რომ წარმოჩნდეს პროფესიული სტუდენტის როგორც თეორიული ცოდნა, ასევე პროფესიული სტუდენტის უნარი/კომპეტენცია.

4. საკვალიფიკაციო საგამოცდო დავალების თემატიკა უნდა მოიცავდეს პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით გავლილი თემატიკის შემაჯამებელ დავალებას/დავალებებს, კერძოდ, ეს შეიძლება იყოს:
ა) თეორიული გამოცდა/გამოკითხვა;
ბ) პრაქტიკული უნარების დემონსტრირება;
გ) პროექტის პრეზენტაცია;
დ) სიტუაციის განხილვა და ანალიზი;
ე) სხვა რელევანტური მეთოდები ან მათი კომბინაცია.
5. საკვალიფიკაციო საგამოცდო დავალების მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა. გადაწყვეტილებას თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს შორის თანაფარდობის თაობაზე იღებს საკვალიფიკაციო გამოცდის ადმინისტრირების ჯგუფი. ამასთან, პრაქტიკული კომპონენტის ხვედრითი წილი უნდა შეადგენდეს საერთო შეფასების არანაკლებ 60%-ს. საკვალიფიკაციო გამოცდის დადებითი შეფასების მიღებისათვის საჭიროა არანაკლებ 51 ქულის მიღება (უარყოფითი შეფასება გულისხმობს 0-50 ქულის მიღებას).
6. საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასების ინსტრუმენტი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება;
ბ) პროფესიული სტუდენტის სახელი და გვარი;
გ) შეფასების ჩატარების თარიღი;
დ) შეფასების ჩატარების ადგილი;
ე) შეფასებისათვის განსაზღვრული დრო.
7. საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასების ინსტრუმენტის პროექტს საკვალიფიკაციო გამოცდის ადმინისტრირების ჯგუფი ვალიდაციის მიზნით შეფასების განხორციელებამდე 10 სამუშაო დღით ადრე წარუდგენს ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს, რომელიც ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტების თავსებადობას პროგრამის მოდულებთან მიმართებაში (შესაძლებელია გარე ვალიდატორების მოწვევა, საჭიროების შემთხვევაში).
8. ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი ვალდებულია წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტის პროექტი შეითანხმოს მისი მიღებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღეში და აღნიშნული ქმედებით საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასების ინსტრუმენტის ვალიდურობა ან რეკომენდაციებით და წინადადებებით დაუბრუნოს ადმინისტრირების ჯგუფს.
9. ადმინისტრირების ჯგუფი ვალდებულია შეფასების განხორციელებამდე 3 სამუშაო დღით ადრე ხელახლა წარმოადგინოს შეფასების ინსტრუმენტები, მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით.
10. ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესში ჩართოს შესაბამისი დარგის სპეციალისტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები ან გარე ვალიდატორები.
11. შეთანხმებული შეფასების ინსტრუმენტი, ვალიდატორის ხელმოწერით გამოიყენება პროფესიული სტუდენტების საკვალიფიკაციო გამოცდისათვის.

მუხლი 6. განმეორებითი საკვალიფიკაციო გამოცდა

1. განმეორებით საკვალიფიკაციო გამოცდაზე გასვლის საფუძველია საკვალიფიკაციო გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღება (0-50 ქულა) ან საკვალიფიკაციო გამოცდაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა.
2. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს განმეორებითი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება იმ შემთხვევაში, თუ გამოცდაზე ვერ გამოცხადდა საპატიო მიზეზით. ასეთ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი დასაბუთებული განცხადებით მიმართავს ცენტრის დირექტორს, პირველივე შესაძლებლობისთანავე, მაგრამ, საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა და წარუდგენს მტკიცებულებას, რომელიც ადასტურებს შესაბამისი საპატიო მიზეზის არსებობას (საპატიო მიზეზი შეიძლება იყოს: სტუდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა (ავადმყოფობა); ახლო ნათესავის (მშობელი, მშვილებელი, შვილი/მინდობით აღსაზრდელი, ბაბუა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე, მასთან მუდმივად მცხოვრები პირი) გარდაცვალება ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოება, რომელიც პროფესიული სტუდენტისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის პროფესიული სტუდენტის საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოცხადებას. საპატიო მიზეზი - სტუდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა (ავადმყოფობა) უნდა დასტურდებოდეს სამედიცინო დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.
3. იმ შემთხვევაში, თუ ცენტრი არ დააკმაყოფილებს პროფესიული სტუდენტის განცხადებას საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოუცხადებლობის საპატიოდ ჩათვლის თაობაზე, აცნობებს პროფესიულ სტუდენტს, განცხადების წარდგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.
4. იმ შემთხვევაში, თუ ცენტრი დააკმაყოფილებს პროფესიული სტუდენტის განცხადებას საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოუცხადებლობის საპატიოდ ჩათვლის თაობაზე, დანიშნავს განმეორებითი საკვალიფიკაციო გამოცდის თარიღს და აცნობებს სტუდენტს, გამოცდის თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე.
5. განმეორებითი საკვალიფიკაციო გამოცდა უნდა ჩატარდეს საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასებიდან 20 სამუშაო დღის ვადაში.
6. პირი, რომელმაც აითვისა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოდულების კრედიტები და ვერ ჩააბარა საკვალიფიკაციო გამოცდა (მიიღო უარყოფითი შეფასება) ან არ გამოცხადდა საკვალიფიკაციო გამოცდაზე საპატიო მიზეზით, ითვლება კურსდამთავრებულად, კვალიფიკაციის მინიჭების გარეშე და ეძლევა **ექვსი თვის** განმავლობაში განმეორებით საკვალიფიკაციო გამოცდაზე გასვლის უფლება, მხოლოდ ერთხელ.

მუხლი 7. საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასების შედეგების გასაჩივრება

1. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია **საკვალიფიკაციო გამოცდის** შედეგები დასაბუთებული წერილობითი პრეტენზიით გაასაჩივროს გამოცდის დღიდან არაუგვიანეს **მე-3** სამუშაო დღეს.
2. პროფესიული სტუდენტის პრეტენზიის/საჩივრის წარდგენიდან არაუგვიანეს **მე-3** სამუშაო დღისა ცენტრის დირექტორის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე ბსუ-ს <u>რექტორის ბრძანებით იქმნება სააპელაციო კომისია,</u> რომელიც უნდა შედგებოდეს მინიმუმ 3 წევრისაგან (შემადგენლობაში უნდა იყოს იმ პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი, სადაც რეალურ სამუშაო გარემოში სწავლებას გადის პროფესიული სტუდენტი (დუალური/კოოპერაციული პროგრამის შემთხვევაში)). სააპელაციო კომისიას თავმჯდომარეობს ცენტრის დირექტორი. სააპელაციო კომისიაში არ შეიძლება შედიოდეს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრი.
3. პროფესიული სტუდენტის პრეტენზია/საჩივარი განიხილება, სააპელაციო კომისიის შექმნიდან <u>3 სამუშაო დღეში.</u> სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი საჩივრის განხილვის თარიღს აცნობებს პროფესიულ სტუდენტს (მის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე/ელფოსტაზე).
4. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს შეფასების მტკიცებულებების ანალიზის ან/ და ზეპირი მოსმენის საფუძველზე. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია ზეპირ მოსმენაზე მოიწვიოს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ადმინისტრირების ჯგუფის წევრები, ასევე დამკვირვებლები (არსებობის შემთხვევაში).
5. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს სააპელაციო კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით. კომისიის საოქმო გადაწყვეტილებას ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.
6. აპელაციის შედეგები პროფესიულ სტუდენტს ეცნობება ზეპირი და წერილობითი ფორმით (ელფოსტის მეშვეობით).